ერთი სადილი უპოვართათვის
გვ.6

გურჯაანში 24 მლნ ლარის
ინფრასტრუქტურული
სამუშაოები ჩატარდება გვ.6

თელავში სადაზღვევო კომპანია
„ალდაგმა" ახალი ფილიალი
გახსნა გვ.7

Young Leader

კახეთის ხმა

ელექტრონული ვერსია WWW.KNEWS.GE

70 თვთრი
No.29
27 ოქტომბერი
2014

გაზეთი გამოდის
ყოველ ორშაბათს

პროფესორთა ნაწილი რექტორის მხრიდან განხორციელებულ წნეხზე საუბრობს

ახალი ამბები

თელავში თუშიშვილების
ოჯახი გაუსაძლის
პირობებში ცხოვრობს

სოციალური სფერო გვ.-3

ქალთა მიმართ ძალადობით
კახეთის რეგიონი
ლიდერობს

ევროპული პროგრამები თელავის უნივერსიტეტში - სეტომა - მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის

ტურიზმის რეგიონული განვითარებისათვის საჭიროა მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომლის მომზადება უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ.

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის თანამშრომლობა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან, რადგან თანამედროვე ტურიზმის ბიზნესი მოითხოვს ენერგიული, შემოქმედებითი და აქტიური კადრების მოზიდვასა და სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების აღზრდას. საქართველოში ამ მიზნებს ემსახურება სახელმწიფო უნივერსიტეტები თუ კერძო უმაღლესი სკოლები, მათ შორისაა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების დახვეწის მნიშვნელოვანი ფაქტორია ის საერთაშორისო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა და მკვლევართა აკადემიურ გაცვლას, სასწავლო პროცესის ბოლონიის სივრცესთან ინტეგრაციას, ახალი მოდულების შემუშავებას. ამ კუთხით აღსანიშნავია „ერასმუს მუნდუსის"", „თემპუსის", „ბომაპის" და სხვა ევროპული პროექტები, რომლებიც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს.

განსაკუთრებით აქტიურად არის ჩართული თელავის უნივერსიტეტი ,,თემპუსის" პროექტებში. ,,თემპუსი" ევროგაერთიანების პროგრამაა, რომლის მიზანია ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება.

პროგრამა მოქმედებს 1990 წლიდან და მოიცავს ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ,,თემპუსი" ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას - სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, საუნივერსიტეტო რეფორმას და სხვ.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წელს დაიწყო და 2015 წლამდე გაგრძელდება „თემპუსის" საერთაშორისო პროექტი „სეტომა", „ახალი მოდულების განვითარება მდგრადი ტურიზმის მართვაში საერთაშორისო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის". მისი პარტნიორია 30 ორგანიზაცია - უნივერსიტეტები, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გაგრძელება გვ 6

ევროპული პროგრამები თელავის უნივერსიტეტში - სუტომა - მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის

დასაწყისი გვ 5

რამდენიმე ქვეყნის ფარგლებში მომუშავე პროექტი მიზნად ისახავს მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტის კურიკულუმის მოდერნიზებას (სუტომას) და თორმეტი ახალი მოდულის შემუშავებას, რომელიც ჩართული იქნება უკვე არსებულ სასწავლო პროგრამაში. ჩვენი უნივერსიტეტი ჩართულია ორი მოდულის - პრაქტიკის, ინტერკულტურული კომუნიკაციებისა და მენეჯმენტის შემუშავებაში.

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება მასწავლებელთა ტრენინგისათვის საჭირო ახალი მასალები და მეთოდები; განისაზღვრება საპრაქტიკე ბაზების ოფიციალური ჩართვა სასწავლო კურიკულუმში; დაინერგება ელექტრონული სწავლების პლატფორმა; გაძლიერდება საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობა.

როგორც ამ პროექტის მონაწილენი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროფესორები: მანანა ღარიბაშვილი, თამარ მიქელაძე, მათ შორის მეც გერმანიაში, იადეს უნივერსიტეტში მიგვიწვიეს.

თამარ მიქელაძე მონაწილეობდა ინტერკულტურული კომუნიკაციებისა და მენეჯმენტის ორკვირიან სემინარში, ატარებდა საჩვენებელ პრეზენტაცია-სემინარებს, რომლებიც აუდიტორიის დიდი მოწონებით სარგებლობდა.

აუდიტორია კი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, ექსპერტები და სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ (სამწუხაროდ, ქ-ნმა მანანამ ვერ შეძლო გამომგზავრება, არადა, მისი კვალიფიკაცია კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა პროექტს).

რაც შემეხება მე, ორი თვის განმავლობაში გავიარე რამდენიმე კურსი: სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტი, ევროპათმცოდნეობა, პრაქტიკა ტურიზმში, ინტერკულტურული კომუნიკაციები და მენეჯმენტი, აგრეთვე - გერმანული ენის ინტენსიური კურსი.

,,სუტომას" პროექტში პრაქტიკის მოდულის ჯგუფში მუშაობის პროცესმა მომცა ანალიზის შესაძლებლობა, თუ რა არის საერთო და რისი შეცვლაა საჭირო, რომ ტურიზმის ბიზნესისთვის კადრების მომზადებაში განათლების ევროპულ სისტემას დავუახლოვდეთ.

პროექტის დასრულების შემდგომ, ვფიქრობთ, გაცილებით ეფექტური იქნება ჩვენი სტუდენტების პრაქტიკის ორგანიზება, უნივერსიტეტი უფრო მეტად დაუახლოვდება დამსაქმებლებსა და ტურისტულ ბაზარს, რათა აკადემიური პროგრამები ბიზნესსექტორის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია გზამკვლევი, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: მიზანი, პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსი, დრო, მოთხოვნები, წინაპირობები; პრაქტიკული მეცადინეობის შერჩევა, პასუხისმგებლობა, ევროპული საკრედიტო სისტემა; შეფასების სისტემა. იადეს უნივერსიტეტში ყოფნა მეტად სასარგებლო იყო ჩემთვის, როგორც ლექტორისთვის, რადგან გავეცანი ევროპელი კოლეგების საქმიანობას, სწავლების მეთოდებს და დავათვალიერე საუნივერსიტეტო ქალაქები - მიუნსტერი, ოლდენბურგი, მუსიკის ქალაქი - ბრემენი, ვიყავი ბევრ საინტერესო მუზეუმში, მოვინახულე სხვადასხვა კულტურული და ტურისტული ადგილები.

ძალიან მინდა, ჩემი ქვეყანა და ჩვენი უნივერსიტეტებიც ვიხილო ასეთი ძლიერი ეკონომიკური შესაძლებლობით, რადგან ინტელექტუალური რესურსი საქართველოშიც არანაკლებია.

ნელი ცქიტიშვილი, თესაუს ასოცირებული პროფესორი